სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
390.050.000.12.212.005.593

საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის

ბრძანება №10/162

2002 წელს 4 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ტყის კოდექსის“ (მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს №2124–IIს) XVII თავის 77-ე მუხლის, XXXV თავის 116-ე მუხლის ,,დ.ლ.“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესრულების უზრუნველსაყოფად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს დებულება „ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების წესის შესახებ“.
2. დაევალოს დეპარტამენტის პარლამენტთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს (ბატონ ნ.ბურდული) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. დვალი

დებულება

„ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების წესის შესახებ“

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების საფუძველი

დებულება „ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების წესის შესახებ“ ეფუძნება საქართველოს ტყის კოდექსის (მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს №2124–IIს) XVIII თავის 79-ე მუხლის მე-3-ე, XXXV თავის 116-ე მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტის ,,დ.ლ.“ ნაწილებსა და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობას.

მუხლი 2. დებულების რეგულირების საგანი

ეს დებულება ადგენს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების სფეროში.

მუხლი 3. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტები და ხის მეორეხარისხოვანი მასალები

1. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებია: წიწვი, ფოთოლი, ყვავილი, ყვავილის მტვერი, ფისი, წვენი, თესლი, გირჩი, მსხმოიარე ხეების (კურკოვანი და თესლოვანი) ნაყოფი (ვაშლი, პანტა, მსხალი და ა.შ.);

2. ხის მეორეხარისხოვანი მასალებია: ძირკვი (ჯირკი), ფესვი, ლაფანი, ქერქი, ფიჩხი, ნეკერი, ანარჩენი ჭიგო, სარი და ა.შ.

მუხლი 4. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების აღრიცხვა

1. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების აღრიცხვა ხორციელდება ორ ეტაპად – ზოგადი აღრიცხვა, ანუ შეფასება და მიზნობრივი აღრიცხვა.

2. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების შეფასებისა და მიზნობრივი აღრიცხვის წესი განისაზღვრება „სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

მუხლი 5. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტები და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება

1. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება გულისხმობს მათ მოპოვებას სამეწარმეო მიზნით.

2. ამ დებულების რეგულირების მიზანს არ შეადგენს ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების პირადი მოხმარების მიზნით შეგროვების რეგულირება.

3. პირად მოხმარებად არ ითვლება ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალის, მისი ნაწილის ან გადამუშავების პროდუქტების რეალიზაცია და გასხვისება.

თავი II
ძირითადი დებულებები

მუხლი 6. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების რესურსების შეფასება

1. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების შეფასება ხდება ტყის ფონდის კვარტალების და ლიტერების მიხედვით.

2. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების გამოვლენილი (არსებული) რესურსის შეფასება გულისხმობს ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების:

ა) რაოდენობრივ შეფასებას;

ბ) ამ რესურსებზე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების ბოლო წლების ანალიზს;

გ) სამეწარმეო საქმიანობისათვის დასამზადებელი მოცულობის სავარაუდო რაოდენობას და სხვა საინტერესო ინფორმაციის შეგროვებას.

3. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების რესურსის შეფასებას ახორციელებს ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილი ტერიტორიული (ადგილობრივი) ორგანო.

4. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების შეფასების მასალები, დადგენილი პერიოდულობით, გადაეგზავნება სახელმწიფო ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილ შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო უწყებას.

მუხლი 7. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების რესურსების მიზნობრივი აღრიცხვა

1. შეფასების შედეგად ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების მიზანშეწონილობის (რაოდენობრივი, ხარისხობრივი, გარემოსდაცვითი და სხვა ფაქტორების მიხედვით) დადგენის შემთხვევაში, მათი მიზნობრივი აღრიცხვა ხორციელდება:

ა)მიზნობრივი ტყეთმოწყობის გზით; ან

ბ)სპეციალური გამოკვლევით; ან

გ) ფენოლოგიური დაკვირვებით.

2. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების მიზნობრივი აღრიცხვისათვის მიზნობრივი ტყეთმოწყობა ან სპეციალური გამოკვლევა ხორციელდება სახელმწიფო დაკვეთის ან სათანადო ინვესტიციების არსებობის შემთხვევაში.

3. ხის მეორეხარისხოვანი მასალების მიზნობრივი აღრიცხვისათვის სპეციალური გამოკვლევა ხორციელდება ამ მასალებზე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების ან სათანადო ინვესტიციების არსებობის შემთხვევაში.

4. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებზე ფენოლოგიური დაკვირვება ხორციელდება უწყვეტად მათი დამზადებისათვის ხელსაყრელ ტერიტორიებზე და მას ახორციელებს ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილი ადგილობრივი (ტერიტორიული) ორგანო.

5. მიზნობრივ ტყეთმოწყობას და სპეციალურ გამოკვლევას ახორციელებს ტყის მართვაზე უფლებამოსილი სახელმწიფო უწყება ან, მისი დაკვეთითა და ზედამხედველობით, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პირი.

6. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების მიზნობრივი აღრიცხვის შედეგია ბუნებრივი გარემოდან ამოსაღები ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების შესაძლო რაოდენობის დადგენა.

მუხლი 8. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების რესურსების მოპოვების კვოტების დადგენა

1. ბუნებრივი გარემოდან ამოსაღები ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების მიზანშეწონილი რაოდენობის (შემდგომში – კვოტა) დადგენას ახორციელებს ტყის მართვაზე უფლებამოსილი სახელმწიფო უწყება.

2. კვოტის დადგენისას პირველ რიგში გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ამ მიმართებით წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება;

ბ) ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოთხოვნილების დაკმაყოფილება;

გ) ბუნებრივი განახლებისათვის აუცილებელი რაოდენობის ადგილზე დატოვება;

დ) რესურსების მოპოვების თვალსაზრისით სამოქმედო ტერიტორიის თანაბრად დატვირთვა;

ე) ეკოსისტემის მდგრადობის შენარჩუნების უზრუნველყოფისათვის სხვა აუცილებელი პირობების დაცვა.

3. კვოტის დადგენა ხორციელდება კვარტალების მიხედვით.

4. კვოტა ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალურ (ადგილობრივი) სამსახურთან სავალდებულო შეთანხმებას.

მუხლი 9. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების რესურსების მოპოვების დაგეგმვა

1. ზეზემდომი და ძირნაყარი ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების დაგეგმვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით მერქნითი რესურსების დამზადებისათვის დადგენილი წესით.

2. ყოველ კონკრეტულ ტერიტორიაზე ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინასწარ შედგენილი ტექნოლოგიური გეგმის მიხედვით.

3. ტექნოლოგიური გეგმის შედგენა ხორციელდება პროდუქტების მოპოვებით დაინტერესებული პირის დაფინანსებით და დეტალური აღრიცხვის მასალებისა და დადგენილი კვოტის საფუძველზე.

4. ტექნოლოგიური გეგმის შედგენა ხორციელდება პროდუქტების მოპოვებით დაინტერესებული პირის დაკვეთით.

5. ტექნოლოგიური გეგმა ჰარმონიზირებული უნდა იყოს ამავე ტერიტორიებზე ტყით სარგებლობის სხვა სახეებთან და მოიცავდეს:

ა) რესურსების მოპოვების ტერიტორიას, მდებარეობას, საზღვრებს და მასზე არსებული ბიომრავალფეროვნების მოკლე დახასიათებას;

ბ) რესურსების მოპოვების დასაშვებ ტექნოლოგიას და ტექნიკურ საშუალებებს;

გ) რესურსების მოპოვების ვადებს;

დ) მოთხოვნებს მომხმარებლის კვალიფიკაციის, ფინანსური და ტექნიკური პოტენციალის შესახებ;

ე) ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყის ფონდის და მისი რესურსების დაზიანების, ხანძრების, ტექნოლოგიური, ტექნიკური ავარიების და სხვა ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილებას;

ვ) გარემოზე ზემოქმედების დასაშვებ ნორმებს (სტანდარტებს) და სამუშაოს დამთავრების შემდეგ პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხას, მოცულობასა და მათი განხორციელების ვადებს.

6. ტექნოლოგიურ გეგმას ამტკიცებს ტყის მართვაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ტერიტორიული ორგანო.

7. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების განხორციელების აუცილებელი და საკმარისი პირობაა ტექნოლოგიური გეგმის და შესაბამისი ნებართვის არსებობა.

მუხლი 10. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების რესურსების მოპოვებაზე ნებართვა

1. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების სანებართვო დოკუმენტებია ნებართვა და ბილეთი.

2. ზეზემდომი და ძირნაყარი ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების მიზნით ნებართვა გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით მერქნითი რესურსების დამზადებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების სანებართვო დოკუმენტები გაიცემა ამ პროდუქტების აღრიცხვის მასალების საფუძველზე და დადგენილი კვოტის შესაბამისად.

4. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების სანებართვო დოკუმენტების გაცემისას, თანაბარ პირობებში, უპირატესობა ენიჭება იმ პირს, რომელმაც უზრუნველყო ამ პროდუქტების აღრიცხვისა და შეფასების ღონისძიებების დაფინანსება.

5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უპირატესი უფლების მქონე პირი უარს იტყვის სანებართვო დოკუმენტის მიღებაზე ან ვერ მიიღებს მას, მაშინ მას გაწეული შესაბამისი ხარჯები უნაზღაურდება ასეთი ნებართვის მქონე პირების მიერ.

6. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება ტყის მართვაზე უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების სამუშაო გეგმით განსაზღვრული ტყის მოვლის, გაშენების ან აღდგენის მიზნებისათვის, არ საჭიროებს სანებართვო დოკუმენტს და აღირიცხება შესაბამის საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშებში.

7. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების მიზნით ბილეთი გაიცემა პირველ რიგში ადგილობრივ მოსახლეობაზე.

8. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადების მიზნით ბილეთი გაიცემა თითოეული კვარტალისათვის ცალცალკე.

მუხლი 11. ტყიმოსარგებლის უფლებები და მოვალეობები

1. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადებაზე უფლებამოსილი პირის, როგორც ტყით მოსარგებლის, უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადებაზე უფლებამოსილი პირის, როგორც ტყით მოსარგებლის, დამატებითი უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება შესაბამისი ტექნოლოგიური გეგმით და სანებართვო დოკუმენტით.

თავი III
დასკვნითი დებულებები

მუხლი 12. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცვა ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების მიზნით ტყით სარგებლობისას

ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების პირადი მოხმარებისას, ხოლო ტყით მოსარგებლე _ მათი დამზადების მიზნით ტყით სარგებლობისას ვალდებული არიან დაიცვან სახელმწიფო ტყის ფონდის დაცვის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულებით განსაზღვრული ტექნოლოგიური გეგმის მოთხოვნები.

2. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების მიზნით ტყით სარგებლობაზე კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს სახელმწიფო ტყის ფონდის დაცვაზე უფლებამოსილი პირი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ტექნოლოგიური და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ტყით მოსარგებლეს.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების მიზნით ტყით სარგებლობის სფეროში წარმოშობილი დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.